

ქართველი კათოლიკეთ

ქართული წიგნის ბიბლიოთეკი

31128

ჭ. ჭიჭიათიძე

ვალი ხუთი მანეთი



ტფილისი

კამპა ამ. „შრომა“, პლეხანოვის ვრცელები, № 37.

1920



100

ქართველ კათოლიკეთა ქართული ტიბი- კონის ამბავი.

როგორც კი გავრცელდა ქართველებში კათო-
ლიკობა, იმ დღიდანვე ქართველნი შერაცხილ იქ-
მნენ რომის კათოლიკეთ.

კათოლიკების მღვდლებმა და მისიონერებმა
მოაწყვეს საეკლესიო სახლები და შეუდგენ წირვა-
ლოცვის საქმეს, მაგრამ აი რა წესით:

მღვდელი სწირავდა ლათინის ტიბიკონის წე-
სით, ლათინურათ, გალობა იყო ქართული და სახა-
რება და სამოციქულოს კითხვაც ქართულს ენაზედ
იყო.

ამნაირათ დამყარდა ქართველ კათოლიკებში
რომის კათოლიკეთა საეკლესიო წესები, და რომაუ-
ლი ტიბიკონის თანახმათ წირვა-ლოცვის შესრულება
და ეკლესიების შენებაც. ეკლესიებსაც ლათინურის
ტაბიკონის წესით აკეთებდენ.

ეს გარემოება ეკკლესიისა გაგრძელდა თითქმის
1630 წლებამდის და საქართველოში, ქართველ კა-
თოლიკეთა ეკკლესიებში, ყოველთვის ლათინურის
ტიბიკონით სრულდება წირვა ლოცვა.

ამ გარემოებას არც ქართული მთავრობა უშ-

ლიდა ხელს და გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს, როცა დაარსდა თუილისში ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა, ეპისკოპოსის პირველ წირვას მეფეს გიორგი ბრწყინვალეც დაესწრო, წირვა ლათინურათ იქმნა შესრულებული, გიორგი ბრწყინვალეს დიდათ მოეწონა ლათინის ტიბიკონის წირვა და ეპისკოპოს მადლობა უთხრა. ამას ასე მოწმობს „მის. დღ.“.

ამ დღიდან ქართველ მეფენი და კათალიკოზებიც ყოველთვის დიდის პატივით ეპურობოდენ ლათინურის ტიბიკონით წირვა-ლოცვის შესრულებას.

თუმცა ასე იყო საქმე და ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიებში ლათინური ტიბიკონით სრულდებოდა წირვა, ხოლო ამის ძალით ქართველ კათოლიკებში ერთი ქართველიც არ გვინახავს განლათინებული.

საქართველოს ქართველ კათოლიკებს სომხებმა მოხვიეს ხელი და მას შემდეგ, რაც ვენეციის კუნძულზედ სევასტი მხითარელმა სომეხ კათოლიკეთა ძმობა დაარსა, ამათი სასწავლებელი, სომხური სტამბა და ამის შემდეგ სომხური წიგნის ბეჭდ ვაც დაიწყეს.

მცირე ხნის შემდეგ, მათ სომეხ კათოლიკეთა ტიბიკონის მღვდლებიც გამოჩარდეს.

ეს ბეღნიერი გარემოებმა სომხის მხითარისტებს მიანიჭა მარემოებამ, რომ რომის ტახტზედ საქართველო შორს იყო, იგინი ქართველებს კარგად არ იცხ

ნობდენ, მხითარისტებმა ისარგებლეს ამით და რომის ტახტს აცნობდეს, რომ ჩვენ და ქართველები მეზობელი ხალხი ვართ, ამიტომ ქართველ კათოლიკების მოვლას ჩვენ ვიკისრებთო. რომის ტახტიც დასთანახმდა ამაზედ, რადგანაც მათ ლათინის წესის მღვდლების გამოგზავნა საქართველოში ერთობ უჭირდებოდათ, პირველი სიშორე და აგრეთვე ქართული ენის უცოდინარობა ხელს უშლიდათ.

ამ გარემოების წყალობით მხითარისტებმა ხელთ იგდეს საქართველო და უმთავრესად კი სამცხე-საათაბაგო, რაც ოსმალეთმა დაიპყრა 1630 წლის შემდეგ. რადგანაც აქ ოსმალთაგან ქართული ენა იდევნებოდა, ამიტომიც მხითარისტებმა ქართველ კათოლიკებს სომხურაოთ დაუწყეს წირვა-ლოცვის შესრულება.

ეს გარემოება ქართველებს არ მოსწონდათ, მაგრამ რადგანაც ოსმალოს მთავრობა ქართულ ენას სასტიკათ სდევნიდა და სომხურის ენის ხმარება კი თავისუფალი იყო, ამიტომ ვერას გახდენ.

ამ გარემოების საშუალებით ქართველ კათოლიკებში გავრცელდა სომხური ტიბიკონით ლოცვების შესრულება, ამან ისეთი ზეგავლენა მოახდინა ქართველებზედ, რომ ქართველ კათოლიკებმა თავის სჯულის ენათ სომხური ენა იწამეს და თან სცდილობდენ იმასაც, რომ მათ სომხური ენაც შეესწავლათ.

სომხის კათალიკების სამღვდელოების ნატვრაცეს იყო.

სომხური ტიბიკონის შემოტანით ქართველებში სომხის კათალიკეთა მღვდელმა მიაღწიეს თავის ნატვრას და წადილს. ქართველ-კათოლიკებში მათ გაავრცელეს სომხური ენა.

ქართველ კათოლიკებმა სომეხთ კათოლიკ მღვდლების წყალობით XVIII საუკუნის გასვლამდის, კონსტანტინეპოლიში 14 ათას ქართველმა დაკარგა ქართველი ენა და იგინი სულ გასომხდენ, ამას ასაბუთებს თვით კონსტანტიპოლის ქართველ კოთოლიკეთ სასაფლავო, საღაც საფლავის ქვებზედ ბევრს ალაგას არის ქართული ნაწერი. ქალაქ ართვინში, 5000 მცხოვრებმა ქართველ კათოლიკემ დაკარგა ქართული ენა.

შავშეთში დაიკარგა ქართული ენა რამდენსამე სოფლებში, მაგალითად: სოფ. სათალეში, ოქრო ბაგეთში, მამანელისში, ფხიკიურში და ბევრ სხვა ადგილას, ამას ასე მოწმობენ ახალციხის „მისიონ. დღიურებში“.

ასევე დაივიწყეს ქართული ენა არტაანის თემის ქართველ კათოლიკებმა. ეს რომ ცხადია, ამას ასაბუთებს შემდეგი გარემოებაც: 1660 წ. არტაანის თემის სოფ. ველის მცხოვრებნი, რომის ტახტს საერთო თხოვნას უგზავნიან და თან ავალებენ, რომ რომის ტახტმა ამათ სოფელს გამოუგზავნოს ქართული ენის მცოდნე მღვდელი და არა სომხის ენისა.

თუ როგორი განაჩენი მისცა ოომის ტახტშა ამ
თხოვნას ჩვენ ამის არ ვიცით რა.

ველელების თხოვნაში მოხსენებული: — „ჩვენ
გვინდა ჩვენი ქართული ენის და ტიბიკონის მღვ-
დელი“ იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი ქართული
ტიბიკონის მღვდელს ითხოვდენ, არა, ეს ასე არ
გახლავთ, იგინი ითხოვენ ქართული ენის მცოდნე
ლათინის მღვდელს, ეს, როგორც მათში იმავე თა-
ვიდანვე იყო, რომ ლათინის ტიბიკონის პატრიმა
ქართული ენაც იცოდა. ეს პატრი ლათანურათ
სწირავდა, სახარებას, სამოციქულოს ქართულათ
კითხულობდა, გალობაც ქართული იყო, აღსარება-
საც ქართულათ ასრულებდა და ანდერძის აგებაც
ქართულათ იყო.

ამიტომ ითხოვენ ველელები: ჩვენი ქართული
ენის მცოდნე და ტიბიკონის მღვდელს და არა იმას,
რომ ეს როგორც ქართველ კათოლიკებში მოხდა
XVII საუკუნიდამ, რომ მათს ეკკლესიებში ძალ მო-
მრეობით სომეხთ კათოლიკეთ მღვდელნი შემოიჭ-
რნენ, მათ ლათინის ტიბიკონის პატრები განდევნეს
და ქართველ კათოლიკებს სომხურათ დაუწყეს წირ-
ვა-ლოცვის შესრულება, ეს ბოროტება ველელებმა
მალე შეიგნეს და იგინი ამის წინააღმდეგენიც გახ-
დნენ.

ამის შეუგნებლობა არც შეიძლებოდა, რად-
განაც სომხეთ კათოლიკის ხუცებმა ქართული ენა

არ იცოდნენ, ესენი ხალხს სომხურათ ელაპარაკებოდნენ, ამიტომ ამათ მოსპეს ეკკლესიაში ყოველივე ქართულათ, დაიწყეს სომხურათ შესრულება, აღსარებისაც კი სომხურათ ათქმევინებდენ, ერთის სიტყვით ქართულს ენაზედ ყველაფერი გააქრეს, ქართველთ გასომხება დაუწყეს, ეს არ აკმარეს მათ და თვით ლათინის ტიბიკონის წესით აღშენებული ეკკლესიებიც კი გადააკეთეს სომხურის ტიბიკონის გეგმით, თვით ივანე ნათლის ცემლის ეკკლესიაც ახალციხეში, ამ დროს არის სომხურათ გადაკეთებული, თუმცა მისი აღშენება XIII საუკ. ეკუთვნის და ისიც ლათინის ტიბიკონის გეგმით.

რა იყო მიზეზი, რომ იმ დროს, ველელები და სხვანიც ქართველ კათოლიკენი ლათინის ტიბიკონს ქართულს ტიბიკონს უწოდებდენ, ეს გახლდათ ის გარემოება, რომ ლათინის ტიბიკონის ლოცვა და ამის აღმასრულებელი პატრები მათ დიდათ უყვარდათ, ესენი მათ ისე მოსწონდათ, რომ ლათინურს წირვა-ლოცვას მოწიწებით ისმენდნენ, ამას იგინი წმინდა მამის ენის ლოცვათ სთვლიდენ, ამიტომ მას იზეპირებოდენ კიდეც.

პატრებისაგან შესრულებული ლათინური ტიბიკონის ლოცვები მათ ისე შეითვისეს, რომ იგი მათ ბუნებაში ისე შეესისხლხორცათ და ისე შეათვისათ სულსა და გულში, რომ იგინი ლათინის ტიბიკონს და ლოცვებს პირდაპირ თავიანი მშობლიურ ქართულ

ტიპიკონათ სთვლიდენ. ამის ასე შეთვისებას კიდევ
ა რა გარემოება ეხმარებოდა.

ლათინის ტიპიკონის პატრები, მათ სამსგალია-
თო სამსახურის გამო დიდათ მოსწონდათ, იგინი
პატრებს ისე უმზერდნენ, ოფორც ღირსეულ პირთ,
მრევლის დიდათ მზრუნველი და არა ისე, ეს ოფორც
გახლდათ სომეხ კათოლიკეთ ხუცებში. ომელნიც
ქართველ კათოლიკებს სჩაგრავდენ დიდათ, მასთან
ესენი პატრებზედ ბევრს ძვირსაც ლაპარაკებოდნენ,
ეს ბოროტება ხდებოდა მარტოთ ოსმალეთის საქარ-
თველოში, სადაც ქართული ენა ოსმალთაგან იდევ-
ნებოდა, ეს გარემოება სომხეთ კათოლიკის ხუცებმა
კარგათ იცოდნენ, ამიტომაც ესენი პატრების მოქ-
მედებას ქართველობის პატივის ცემით ასმენდენ
ოსმალეთს, ე. ი. აბეზლებდენ.

ოსმალოს მთავრობაც ამიტომ სდევნიდა პატ-
რებს, ოფორც ქართული ენის მცოდნეებს და ამ
ენის პატივის მცემელთ და მფარველთ, ეს ხდებოდა
მიტომაც, ომი იმ დროს, გათათრებულ ქართვე-
ლებს ქართული ენის ხმარებას დიდათ უკრძალავ-
დენ, ამიტომ ქართველ კათოლიკებში ქართული ენის
დაცვაც პატრებისაგან იყო მათვის გულის გასახეთქი
და არ ასატანი. ამიტომ მიეცნენ აქ პატრები დევ-
ნას, ქართველ კათოლიკეთ გასომხებაც მიტომ მოხ-
და, სადაც კი ეს დევნა არ იყო, მაგალითები საქარ-
თველოს სამეფოში, აკი აქ სომეხ კათოლიკეთ

ხუცებმა ვერაფერი გააწყეს და ქართველ კათოლიკენი ვერ გაასომეხეს.

ოსმალოს საქართველოში მყოფ ქართველ კათოლიკენი დიდი პატივის მცემლები იყვნენ პატრი-ბის, ესენი ყმაწვილებსაც კი ინახავდენ მოუნათლავს იმ დრომდე, ვიდრე შემთხვევით საიდამე პატრი გაჩნდებოდა მგზავრათ, მაშინ შემთხვევით ესენი ნათლავდენ ბავშვებს ლათინის ტიბიკონის წესით, ხდებოდა ისიც, რომ ხან ყმაწვილი დიდს სიშორეზედ, პატრითან მიჰყვნდათ ყმაწვილი მოსანათლათ, ამიტომ ხშირათ სამცხიდან გორში, აბასთუმანს და ბორჯომში გაღმოსულან და პატრს მოუნათლავს ბავშვი. ლათინის ტიბიკონის წესით, რასაკვირველია ეს ხდებოდა სომეხ კათოლიკეთა ხუცების ჩუმათ.

ქართველ კათოლიკებს პატრები მოსწონდათ კიდევ მიტომ უფრო, რადგანაც პირველი: პატრი იყო მათი ეკკლესიის მამა, მერე მათი შვილების მასწავლებელი, მასთან ექიმი, დოქტორი, ბებიაცკი, ყოველივე ამაებთან იგივე იყო მათი მოსამართლე, სუდია, ვექილი და სხვაც ასეთნი, რითაც ქართველ კათოლიკეთ ცხოვრებას და საოჯახო პატივის ცემას დიდათ ჰფარავდა მშვიდობით.

სომეხი კათოლიკეთ ხუცები კი მოკლებულნი იყვნენ ასეთ ღირსების და ცოდნას, ეს გარემოება სომხ. კათოლიკეთ ხუცებმაც კარგათ იცოდნენ,

ამიტომ ქართველ კათოლიკებს ოსმალოს საქართველოში მათ დაუწყეს ასე ქადაგება:

თქვენ ხართ სომეხ კათოლიკენი, ამიტომ თქვენი სჯულის ენაც არის სომხური, ვინც ამ ენას არ ისწავლის და ამ ენით არ იტყვის აღსარებას, ის უამისოთ იქნება დაწყევლილი და შეჩვენებული ჩვენის წმინდის კრების და მამისაგან. ამათ შესძლეს და ქართველ კათოლიკებში გაავრცელეს ის ყალბი ცნობები, რომ იგინი სომხის ტომის კათოლიკენი არიან, ხოლო საქართველოში გაქართველებულნი ქართულის ენით, ამიტომ ვალდებულნი არიან იგინი, რომ ქართული ენა დაივიწყონ და მის მაგიერ სომხური შეისწავლონ.

ამ ბოროტებაში ოსმალოს მთავრობაც იღებდა მონაწილეობას და ესენიც ეხმარებოდენ ამ ბოროტებაში, რადგანაც იგინი გათათრებულ ქართველებს რომ ავიწყებდენ ქართველ ენას, ქართველ კათოლიკებშიც საჭირო მიაჩნდათ ქართული ენის მოსპობა, ამიტომაც დაემხო ოსმალეთის საქართველოში ყველგან ქართველ კათოლიკეთ შორის ქართველი ენა, გადარჩა მხოლოთ მესხეთ-ჯავახეთის ქართველ კათოლიკენი, ესენი კი ვერ გაასომხეს დროით, თუმცა ამათაც მოხვიეს მათ ხელი მაგრათ.

აქ ერთი საოცრება ის არის, რომ ქართველ კათოლიკეთ გასომხების ტრფიალებით არამც თუ მარტო საქართველოში მყოფი სომეხ კათოლიკეთ

ხუცები ყოფილან ამხედრებულნი, არამედ ასევე ყოფილან მთელი სომხის კათოლიკენიც. ამის მაგალითი გახლავსო შემდეგი გარემოება, რასაც მოწმობს აბატი ნიკ. ჩოლაყაშვილი, იგივ ნიკიფორე ირბახი.

როცა რომში, პაპის ურბან VIII დროს, გადასწყდა ქართული სტამბის გახსნის საქმე. მაშინ იღერის სომეხთ კათოლიკის ხუცებმა ასეთი მოხსენება მისცეს პაპას: იქ, სადაც ლათინის მისიონერები და ნიკიფორე ირბახი ასახელებს საქართველოს და ქართველებს, სწორეთ იმ აღგიღებში სძვრს სომხეთი და იქ სცხოვრობენ სომეხთ კათოლიკენი. ამ სიცრუეს მაშინათვე ნიკ. ირბახმა პაპს პასუხი მიართვა და უარი ჰყო სომეხთ კათოლიკეთ ჭორები და ცილი.

რაკი მესხეთ ჯავახეთის სომეხ-კათოლიკეთ ხუცებმა ვერა დააკლეს რა და ვერ გაასომეხეს, მის მერე მათ აი რა ქმნეს: ამ კუთხის ქართველ კათოლიკებში მოკრიფეს: ყმაწვილები, ესენი წაიყვანეს ვენეციას, მხითარისტების სკოლაში სომხურათ აღზარდეს, ამათ ჩაუნერგეს სომხური ენის სიყვარული, სომხეთის, მის მერე ესენი სომხეთ კათოლიკის მღვდლათ აკურთხეს და მერე ესენი შემოუსიეს ქართველ კათოლიკებს. მართლაც ამათ თავიანთი ვალი შეასრულეს და როგორც ქართული ენის მცოდნეებმა ქართულათ იწყეს ქადაგება და ქართული ენის მტრობა, ქართველ კათოლიკ. გასომეხება.

ამათ გაავრცელეს ქართველ კათოლიკებში სომხების ტრფიალება, ქართველები დაარწმუნეს, რომ თქვენ სომხის გვარის კათოლიკები ხართ და არა ქართველებიო. ოქვენი დედა ენა სომხურია და არა ქართულიო. მათ დათესეს ისეთი ბოროტება, რაც სომხის კათ. ხუცებმა ვერ შესძლეს და ვერ მოახერხეს, ასეთი ბოროტება ამათ შეასრულეს, ასეთი გადაგვარებული მხითრისტი ქართველ გვარის მღვდლები, ჩვენს დროშიაც იყვნენ, ასეთი იყო ამაზასპ საფარიანი-საფარაშვილი, რომელმაც ერთს თავის დაბეჭდილს სომხურს წიგნში, რომელიც მან დაბეჭდა 1882 წ. სამცხე-საათაბაგო რუსეთის სამფლობელო სომხეთად მოიხსენა. თუმცა ქართველ კათოლიკენი თვით გადაგვარებულ ქართველ კათოლიკეთ მღვდელთაგან ასეთ დევნაში იყვნენ, მიუხედავათ იგინი რომის ხსოვნის და ლათონის ტიბიკონის პატივისცემას მაინც არ ივიწყებდენ, ზოგნი ესენი თავის შვილს აღსასდელათ რომში გზავნიდენ, ესენი იქ იღებდენ განათლებას და მერე იქვე ეკურთხებოდენ ლათინის ტიბიკონით და ესენი მოდიოდნენ სამცხე-საათაბაგოში, სადაც ქართველ კათოლიკებს „ლათინის“ ტიბიკონით და ქართულის ენით ემსაურებოდნენ.

სომეხთ კათოლიკეთ ხუცები ასეთს პატრებს დიდათ შეგძრძოლნენ, ამიტომ მათ დასახმარათ ოსმალთა მთავრობასაც მიმართეს და ლათინის ტიბიკონ-

ზედ ნაკურთხ პატრიქის სომხურ ტიბიკონზედ გადა-
ყვანა დაუწყეს, ვისაც ვერ გადაიყვანდნენ, იმას
მოსწამლავდენ და ჰკლავდენ, 1800 წ. სომეხ კა-
თოლიკეთ მარტიროზ ვართაპეტმა მოწამლა და ამით
მოკვდა პატრი ალოიზი, ასევე მოწამლეს პატრი ია-
კოფ საბაშვილი ბაროხი, სოფ. ოქრობაგეთს 1773 წ.
ამას გარდა მათ იმეცადინეს და სომხის ტიბიკონზედ
გადაიყვანეს პატრი ანტონ ხუციშვილი, ამ პირს
ქართულს ენაზედ ბევრი აქვს ნაწერბები, გადიყვა-
ნეს კიდევ ანტონ აღუშაშვილი, პატრი იოანე ლა-
ზარიან ოცხელი, პატრი ანტონ თუმანისშვილი
პატრი გრიგოლ მეფისაშვილი, პატრი პავლე შაპუუ-
ლიანი, ქართული მწიკნობარი, ვისაც დარჩა 20 მეტი
ტომები ქართული ენაზედ ნაწერები, დღემდე დაუ-
ბეჭდავნი.

მიუხედავათ ასეთის ბოროტების და დევნის,
მესხეთ ჯავახეთში, თვით XVIII საუკუნეში იყვნენ
თითო ოროლა ისეთ ქართველთ კათოლიკეთ მღვდელ-
ნი, სომხურ ტიბიკონზედ ნაკურთხნი, რომელნიც
მრევლში აშკარათ ლაპარაკობდენ, რომ ჩვენ ვართ
ქართველთ კათოლიკენი და არა სომხის გვარის კა-
თოლიკენიო. ესენი მრევლში უმეტესათ ქართულათ
ლაპარაკობდენ და საეკლესიო დავთრებსაც სულ
ქართულათ აწარმოებდენ, ასეთი ქართულათ ნაწე-
რის დავთრების შევრია დაცული ახლციხის ივანე
ნათლის მცემლის ეკკლესიაში. ასეთი მოქართულე

მღვდლები ქართველ კათოლიკებში XIX საუკუნე-
შიაც იყვნენ.


მაგალითები 1840 წლებს სომხის მხითარისტებში
გაზრდილმა და სომხურათ ნაკურთხმა პეტრე ხარის-
ჭირაშვილმა ისურვა სომეხთ კათოლიკებისაგან თა-
ვის დახრცევა, სომხური ტიბიკონის მიბაძვით, ამან
დასწერა ქართულის ენაზედ ქართველ კათოლიკეთა
ტიბიკონი, ამ საქმეში მას ეხმარებოდენ სხვანიც.
მცირე ხნის შემდეგ ამათ მოახერხეს და ზოგი ერთ
ეკკლესიებში ესენი სომხური ტიბიკონის მაგიერ
ქართულ ენაზედ დაიწყეს წირვა ლოცვის შესრუ-
ლება. ქართული ენაზედ მათ ჩინებულათ მოაწყეს
და ეს სომხურიდან ნათარგმნი ტიბიკონი ქართულ
ტიბიკონსაც დაუხლოვეს. ამით გამოვიდა იგი ქარ-
თული ტიბიკონი.

ამავე დროს, პეტრე ხარისჭირაშვილი და მის
ამხანაგ ქართველ კათოლიკეთ მღვდლებმა იწყეს
სომხურის ენიდან ქართულს ენაზედ სომხის მხითა-
რისტების სამღრთო წიგნების თარგმნა, მალე ამას
მოჰყვა მათგან ვენციაში ქართული სტამბის დაარ-
სება და იქ ქართულს ენაზედ სამღრთო შინაარსის
წიგნების ბეჭდვა. პირველათ ამათ სომხის მხითარის-
ტები ყურადღებას არ აქცევდენ, მერე კი ნაციო-
ნალური აღლო აართვეს და ამიტომ ვენციაში ამათ
ქართული სტამბა დაუკეტეს, ყველაფერი მათი გა-
დევნეს და შემდეგ დროს, ამათ ქართულს ენაზედ
წირვა-ლოცვაც აუკრძალეს.

ამიტომ პეტრე ხარისჭორაშვილი თავის ამხანა-
გებით სომხეთ მხითარისტებს განშორდენ, ამათ კონ-
სტანტინოპოლს კეთილ ქართველ კათოლიკეთა დახ-
მარებით აღავეს ეკკლესია, შიგ მოაწყეს ქართულს
ენაზედ წირვა ლოცვის შესრულება, რასაც ქართულ
კათოლიკებიც დიდათ უმაღლიდენ, ეკკლესიის გვერ-
დით გახსნეს ქართველ კათოლიკეთ სასულიერო
სასწავლებელი, მალე აქვე გახსნეს ქართული სტამბა
და დაიწყეს ქართულად მოქმედება, ერთი სიტყვით
ამ დროს ჩაედგა სული ქართველ კათოლიკეთ სხეულს.

ეს გარემოება სომხეთ კათოლიკეთ მხითარის-
ტებს დიდათ ეწყინათ, ამათ ვერ დასთმეს, პეტრე
ხარისჭირაშვილს აკრძალვა დაუწყეს, მაგრამ იგი მათ არ
უვარდებოდა, ბოლოს სომხეთ მხითარისტებმა რომის
ტახტს მიმართეს და დაიწყეს ქართველ კათოლიკეთ
წინააღმდეგ მოქმედება, მათ დროით მიაღწიეს სა-
წადელს და რომის ტახტი შეიყვანეს შეცდომაში
და მათ ქართველ კათოლიკენი არ შეაწყნარებინეს.

ბევრი შრომა ძიების შემდეგ, რომის ტახტის
წინაშე, პატრიმა მიხელ თამარაშვილმა თავის შრომით
და ისტორიულის გამოძიებით და ამის საბუთებით,
რომის ტახტის წინაშე დასაბუთებელ იქმნა ქართველ
კათოლიკეთ არსებობა საქართვალოში. შემდეგ ამის
მოხდა ისიც, რომ ამ საღავო საქმის გამოსაძიებლათ
რომის ტახტმა თვისი გამომძიებელი დანიშნა და ამის
გამოძიებისათვის საქართველოში იქმნა იგი გამო-



გზავნილი, რათა ქართველ კათოლიკები ასებობა ადგილობრივ გამოერკვია.

როგორც იქმნა გამომძიებელი საქართველოში ჩამოვიდა, ამ დროსაც, სომები კათოლიკებმა იხმარეს თავიანთებური ბოროტება და გამომძიებელი თვისკენ მიიმხრეს. გამომძიებელმა ქართველ კათოლიკეთ ძიებას ყურადღება მიაპყრო, მოისმინა ყველაფერი გულ დასმით და მერე ქართველ კათოლიკებს ასეთი ახსნა მოახსენა.

თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ ქართველ კათოლიკენდ ვართო, რაკი საქმე ასე გახლავსო, მაშინ თქვენ მიიღეთ ქართული ტიბიკონი...

გამომძიებლის ეს წინადადება იყო სომები კათოლიკეთაგან ნაკარნახევი და მათი ეშმაკური ჯადოსნური ზომა.

სომები კათოლიკებმა კარგათ იცოდნენ, რომ ამას ქართველი კათოლიკები არ იზამდნენ, რადგანაც ქართული ტიბიკონი არის ბერძნულ-სლავენური და მის მერე რუსული პოლიციური და ამიტომაც ათქმევინეს ეს წინადადება გამომძიებელს.

ქართველ კათოლიკებმა გამომძიებელს ასეთი პასუხი მისცეს: ჩვენ ქართულს ტიბიკონს არ მივიღებთ, რადგანაც ჩვენ ვართ რომის ქართველ-კათოლიკენი. ჩვენ ლათინურს ტიბიკონს ქართულათ ვსთარგმნით და ლათინური ტიბიკონი ჩვენ ჩვენს ქართულს ენაზედ გვექნება, ჩვენ ამას ვითხოვთ.

გამომძიებელმა ასეთი ბასუხი მისცა ქართველ კათოლიკებს:

ლათინის ტიბიკონის თარგმნა ქართულს ენაზედ არ შეიძლება, რადგანაც ლათინური ენა მსოფლიო ენა არის. ევროპაშიაც, ყველა ნაციის კათოლიკებს ლათინურს ენაზედ აქვს მიღებული და არა თავის ენაზედ. ამიტომ რომის ტახტი ლათინური ტიბიკონის თარგმნის ნებას თქვენ არ მოგცემენ. რადგანაც თქვენ ქართველ ტიბიკონის მიღების გეშინიანთ და ლათინის ტიბიკონის თარგმნის ნებას თქვენ არ მოგცემენ, მაშინ თქვენ მიიღეთ სომეხთ კათოლიკელ ტიბიკონი, რადგანაც თქვენს ძველებაც ეს ტიბიკონი ჰქონდათ მიღებული.

რომ ასე მოხდებოდა და რომის გამომძიებელი ასე დააყენებდა საქმეს, უეჭველია ეს სომეხთ კათოლიკებმაც კარგათ იცოდნენ, ამიტომაც ესენი იმედოვნებდნენ ასე: ქართულ ტიბიკონს კათოლიკები არ მიიღებენ, რადგანაც მისი მათ ეშინიანთ, ლათინური ტიბიკონის თარგმნის ნებას მათ რომის ტახტი არ მისცემს და მის შემდეგ კათოლიკეთათვის ისევ სომხის ტიბიკონი დარჩება საქმეთ და ეს უნდა მიიღონ, რადგანაც ეს ტიბიკონი მათი ძველების ტიბიკონიც იყო.

უეჭველია ასე ფიქრობდენ სომეხ კათოლიკენი და მათ ამისთვის რომის გამომძიებელიც მიტომ მიიბირეს თვისკენ, მაგრამ მოტყუფლენენ. ქართველ კათო-

ლიკებმა გამომძიებელს ასეთი პშსუხი მისცეს:

ჩვენ ვართ რომის ქართველ კათოლიკენი, ამიტომ როგორც აქამდის ჩვენს ძველებს ლათინური ტიბიკონი ჰქონიათ მიღებული, ამიტომ საჭიროა რომ ჩვენთვისაც ეს ლათინური ტიბიკონი დარჩეს. ჩვენ ვითხოვთ ისევ ისე, როგორც ჩვენს ძველებს ჰქონიათ ლათინის ტიბიკონი, ჩვენთვის არც ქართული ტიბიკონია საჭირო და არს სომხური. ჩვენი სულფილი და ნატვრა არის, რომ ჩვენ ტიბიკონათ უჯას ლითინის ტიბიკონი, ვინაიდგან ეს ტიბიკონი ყოფილა ჩვენი ძველების ტიბიკონიც.

იმედია, რომ დღეის შემდგეგ, ქართველ კათოლიკენი ამ გონივრულ რჩევას, რომ ამათ ლათინის ტიბიკონი უნდათ და არა სხვა რომელიმე, ამას მტკიცეთ დაიცავენ და ამის სწორე გზას აღარ გადუხვევენ.

ქართველ კათოლიკებმა ქართული ტიბიკონის შესახებ ლაპარაკს თავი უნდა დაანებონ, როგორც აქამდის ჰქონიათ ლათინის ტიბიკონი, ეხლაცა და შემდეგაც ეს ტიბიკონი უნდა ჰქონდეს მათ მიღებული.

ჩვენ არც იმაზედ ავხირდებით, რომ ვითომც ქართველ მეფეების დროს ქართული ტიბიკონი არ იყო, ვსთქვათ: გინდ იყო კიდეც მაშინ ქართული ტიბიკონი. თუმც ამის ძველი ფურცლები ჩვენ ვერსად რა ვნახეთ.

მაგრამ რაკი საქმე დღეს ასე მოეწყო, ამიტომ ქართველ კათოლიკობაც ვალდებულია, რომ ამ ეშმაკურს გარემოებას და სომეხთ კათოლიკეთ ხრიკებს

ოსტატურათ მოექცეს, სომხური ტიბიკონი ქართველებს ნაციონალურათ შესჭამს, გააქრობს, გასომხებს ისევე, . ეს ომგორც სამცხე-საათაბაგოს მოხდა. ლათინის ტიბიკონით კი ამდენი ხანის განმავლობაში ჩვენ განლათინებელი არავინ გვინახავს, გასომხებული ქართველ კათოლიკენი კი მრავლთ არიან საქართველოში.

ამიტომ ქართველ კათოლიკებს თუ სურვილი აქვსთ და ენატრებათ, რომ მათ ოვისი დედა ენა შეინარჩუნონ და სომებთ კათოლიკეთა ხრიკებისგანაც განთავისუფლდენ და გასომხებასაც ასცდნენ.

მაშინ ყველა ამ მამულის შვილური მცნების შესანარჩუნებელ ძალათ მათ ლათინის ტიბიკონი უნდა იცნან, მათ უნდა გაიკვეთონ შემდეგი მცნება შეურყევლად: — ჩვენ ვართ რომის ქართველ კათოლიკენი და ჩვენის სჯულის ეკლესიის წირვა ლოცვაც შესრულებულ უნდა იქმნეს ლათინურის ტიბიკონით, ჩვენ ამის მეტი სხვა რამ ტიბიკონები არ გვინდა, როგორც ჩვენს ძველებს უხსოვარის ღროდამ ლათინის ტიბიკონი ჰქონიათ მიღებული, ამიტომ ჩვენც ეს ლათინის ტიბიკონი გვინდა.

ქართველ კათოლიკენი მხოლოთ ლათინის ტიბიკონით და ამის სწორე გზაზედ სიარულით იხსნიან თავს სომებთ კათოლიკეთა გავლენისაგან, გასომხება და გადაგვარებისაგანაცა, სხვა გზა და საშუალება მათ ამის მეტი არა აქვსთ რა. ლათინის ტიბიკონის უარყოფთა იქმნება ქართველობის დაკარგვა და გადაგვარება — გასომხება.